საგიჟეთი

მედიინ რუ

2018-03-01



მედლინ რუ

ინგლისურიდან თარგმნა **დათო აკრიანმა**

რედაქტორი ლადო იოსებაძე

კორექტორები: ნატალია ჩიმაკაძე, ცისანა ბურჭულაძე
პროექტის მენეჯერი ანი სოხაძე
დიზაინერი უტა ცაცაშვილი
პასუხისმგებელი რედაქტორი ზურაბ აბაშიძე
კომპიუტერული უზრუნველყოფა ლევან დაცაბიძე

© **გამომცემლობა პალიტრა L, 2018**
ყველა უფლება დაცულია

რას ფიქრობს Liberteens ამ წიგნზე

Liber**teens** თინეიჯერების ჯგუფია, რომელიც კითხულობს და არჩევს მათ თაობაში თანამედროვე, პოპულარულ უცხოურ ლიტერატურას, რომელსაც შემდგომ გამომცემლობა პალიტრა L ქართულ ენაზე გამოსცემს.

მედლინ რუს «საგიჟეთი» სწორედ მათი არჩეული წიგნია.

«ეს წიგნი ყველა ასაკისთვის ძალიან საინტერესო იქნება. ვისაც საშიში ისტორიები უყვარს, «საგიჟეთი» კიდევ ერთი თავგადასავალია».
ანი რუხაძე, 17 წლის

*«მახსოვს, ეს წიგნი პირველად რომ გამოვიდა ამერიკაში, ძალიან დიდი გამოხმაურება მოჰყვა, მეც დავინტერესდი და წავიკითხე. მინდა გითხრათ, რომ თანამედროვე ლიტერატურაში ასეთი საინტერესო **ჰორორი ცოტაა».***
გიორგი გაგნიაშვილი, 16 წლის

«შესანიშნავია! «ორეულის» და «American Horror Story»-ს მეორე სეზონი ვისაც მოსწონს, ეს წიგნი აუცილებელი საკითხავია!»
გიო კიკაბიძე, 17 წლის

«მოუთმენლად ველოდები გაგრძელების გამოსვლას! ეს წიგნი იმაზეა, რომ ყველა საიდუმლოს ეხლება ფარდა და დაფარული არაფერი რჩება».
თაკო დუნდუა, 16 წლის

მედლინ რუს „საგიჟეთი“ – მსოფლიო გამოხმაურება

«მედლინ რუს წიგნის წაკითხვიდან რამდენიმე დღის შემდეგაც კი თან მდევდა საშიში სცენები «საგიჟეთიდან». მინდა ცოტა ხანი მწერლის შესანიშნავ, ბნელ გონებაში ვიცხოვრო! შესანიშნავია!»
ჰით ბრეუერი, მწერალი

«ერთი ამოსუნთქვით იკითხება, ჰორორის ჟანრის მოყვარულებს ეს წიგნი ძაღიან მოეწონებათ».
Kirkus

«ძღიერი დებიუტი. მწერაღი დაძაბუღ, საშიშ სიუჟეტს ხღართავს, რომეღიც გვიჩვენებს, რა დამღუპვეღი შედეგი მოაქვს ადამიანის გონების ტერორს».
Publishers Weekly

«დღის შუქზეც რომ დაიწყოთ ამ წიგნის კითხვა, მაინც ძაღიან შეგეშინდებათ. მედღინ რუმ ზუსტად იცის თავისი საქმე!»
Glamour

«მედღინ რუ საოცარი ოსტატობით თესავს შიშს თავისი პერსონაჟების, მათთან ერთად კი მკითხვეღის გულსა და გონებაში. ამ წიგნის გაცნობით საშინეღებათა ჟანრის მკითხვეღები American Horror Story-ის მაყურებღები დიდ სიამოვნებას მიიღებენ».
Booklist

გაყიდულია 30 მიღიონზე მეტი ეგზემპლარი!

თარგმნიღია 25 ენაზე!

*** * ***

დიდხანს ვიდექი იქ, ვიყურებოდი იმ წყვდიადში,
მაკვირვებდა, მაკრთობდა, მაეჭვებდა, მესიზმრებოდა სიზმრები,
არც ერთ მოკვდავს რომ არ დასიზმრებია აქამდე.
ედგარ აღან პო

წინათქმა

ეს სახღი ქვით ააშენეს, პირქუში მთებიდან ამოცღიღი რუხი ქვით. ეს იყო სახღი მათთვის, ვინც ვერ ზრუნავდა საკუთარ თავზე, ვისაც ხმები ესმოდა, უცნაური აზრები ჰქონდა და უცნაურ რამეებს სჩადიოდა. სახღს ასეთები უნდა შეეფარებინა. ერთხეღ აქ მოსუღები, აღარასოდეს მიდიოდნენ.

თავი 1

დენს ისეთი შეგრძნება ჰქონდა, თითქოს მაღე გუღი აერეოდა.

ვიწრო, მოხრეშიღი გზა უკვე, სუღ ცოტა, ხუთი მიღის მანძიღზე აჯანჯღარებდა ტაქსის. მისი მძღოღი გაუთავებღად წყევღიდა წვეტიან ქვებსა და დაშვებუღ

საბურავებს. დენი იმასღა იმედოვნებდა, რომ არაფერს გადაახდევინებდნენ რაიმეს დაზიანებისთვის, — აეროპორტიდან აქამდე წამოყვანა უამისოდაც საკმაოდ ძვირი უჯდებოდა.

ჯერ ახ�ი გადაციდებული იყო შუადღეს, მაგრამ ირგვლივ მაინც დაბინდული სინათლე იდგა, გზის ორივე მხარეს ამოყრილი ხშირი ტყის გამო. «იოლი იქნება ამ ტყეებში ჩაკარგვა», გაიფიქრა დენმა.

— ცოცხალი ხარ, მანდ, უკან?

— რაო? ჰო, კარგად ვარ, — უპასუხა დენმა იმის გაცნობიერებით, რომ მანქანაში ჩაჯდომის შემდეგ ხმა არ ამოეღო, — სწორი გრუნტი მაკლია მხოლოდ.

ბოლოს და ბოლოს, ტაქსიმ მიაღწია მოღიავებულ ადგილს ხეებს შორის, ყველაფერი სინათლით დაიწინწკლა და მოვერცხლისფროდ ამწვანდა ზაფხულის მზის ქვეშ.

აი, ისიც: «ნიუ-ჰემპშირ კოლეჯი», სადაც დენი იცხოვრებდა მომდევნო ხუთ კვირას.

ეს ზაფხულის სკოლა — დენის გადამრჩენელი ბაწარი — უკვე მთელი სასკოლო წლის განმავლობაში ქცეულიყო სინათლედ გვირაბის ბოლოს. დენს სურდა ცხოვრება იმ ბავშვებთან, ვისაც სწავლა უნდოდა, ვინც ნამდვილად ამზადებდა საშინაო დავალებებს და არა ფაცხაფუცხით თითხნიდა რაღაცას გაკვეთილის დაწყების წინ. ერთი სული ჰქონდა, როდის შეუდგებოდა ამას.

ტაქსის ფანჯრიდან დაინახა ნაგებობები, რომლებიც ეცნო კოლეჯის საიტიდან, — კოლონიური პერიოდის მომხიბლავი აგურის შენობები, შიგნით მოქცეულ მართკუთხა ეზოებში აბიბინებული, უზადოდ გაკრეჭილი ზურმუხტისფერი ბალახით. დენმა იცოდა: აქ იყო აკადემიის შენობები, სადაც მას გაკვეთილებს ჩაუტარებდნენ. რამდენიმე ადრეული ჩიტუნა უკვე გაზონზე გამოსულიყო და ფრისბის ისროდა წინ და უკან. ასე სწრაფად როგორ დამეგობრებულიყვნენ ეს ბიჭები? იქნებ, ეს პროცესი აქ ასე იოლად ხდებოდა.

გზაჯვარედინზე მძღოლი შეყოყმანდა. დიაგონალზე, მარჯვნივ, იდგა ღამაზი სამხრეთული ტაძარი, მაღალი სამრეკლოთი, რომლის უკან სახლები ჩამწკრივებულიყო. დენმა კისერი წაიგრძელა და დაინახა, როგორ ჩამოჰკრა მძღოლმა თითი მარჯვნივ გახვევის მაჩვენებელს.

— არა და, მარცხნივაა, — ჩაიღუღღუღა დენმა და ისევ გადაწვა სავარძელზე.

მძღოლმა მხრები აიჩეჩა:

— რაკი შენ ამბობ. როგორც ჩანს, ეს წყეული მექანიზმი ვერ ქაჩავს, — თქვა და. თითქოს, ამის საილუსტრაციოდ, მუშტი უთავაზა მოწყობილობების დაფის შუაგულში ჩამაგრებულ სანავიგაციო ეკრანს. თითქოს, მარშრუტი, რომელსაც ეს უკანასკნელი ხაზავდა მათთვის, სწორედ აქ დამთავრდა.

— მარცხნივ არის, — გაიმეორა დენმა, ამჯერად, ნაკლები დარწმუნებით. რეალურად, ვერც კი იტყოდა, საიდან იცოდა გზა, წინდაწინ არაფერი მოუძებნია. მაგრამ ეს ძველი, პატარა ტაძარი რაღაც მოგონებას აღძრავდა, მოგონებას თუ არა, ერთგვარ შინაგან ინსტინქტს მაინც.